ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია

ქ. თეთრიწყარო

18/04/2018

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 454

454-13-4-201804181437

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში შემავალი საკითხების სამართლებრივი დარეგულირების შესახებ

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა.ე“ და „ა.თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, 36-ე, 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 122-ე და 123-ე მუხლების, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N200 და „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N200 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N215 დადგენილებების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“, „ა.ზ“, „ა.ი“ ქვეპუნქტების, მე-10 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი „დანართი N1“-ის მიხედვით.
2. დამტკიცდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურა „დანართი N2“-ის მიხედვით.
3. დამტკიცდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სამივლინებო ფურცლის/მოწმობის ფორმა „დანართი N3“-ის მიხედვით.
4. დამტკიცდეს მატერიალური ფასეულობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის შიგნით გადაადგილებისა და შენობიდან გატანის აქტის ფორმა „დანართი N4“-ის მიხედვით.
5. დამტკიცდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის შემოვლის ფუცლის ფორმა „დანართი N5“-ის მიხედვით.

6. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის პირობების დაცვაზე პასუხისმგებელ / უფლებამოსილ პირად დადგინდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბერდია ხვისტანი.
7. მერის წარმომადგენლების მიერ გაცემული ცნობების მკაცრ აღრიცხვაზე პასუხისმგებელ / უფლებამოსილ პირად დადგინდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი ალნერი დარბაიძე.
8. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ / უფლებამოსილ პირად დადგინდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი ალნერი დარბაიძე.
9. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ / უფლებამოსილ პირად დადგინდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის PR საკითხების შტატგარეშე მოსამსახურე ნათია ებრალიძე.
10. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელ / უფლებამოსილ პირად დადგინდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ედუარდ სარქისიანი ასეთი სისტემების არსებობის / შექმნის შემთხვევაში / შემდეგ.
11. წინამდებარე ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 22 ოქტომბრის N400 ბრძანება.
12. დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსს ალნერი დარბაიძეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა.
13. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს მალხაზ სამაშვილს.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
15. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია